THE BGA ROAR

NEWSLETTER BY
British-Georgian Academy

მნიშვნელოვანი თარიღები:

დეკემბერი

22.12.2023-08.01.2024 ზამთრის არდადეგები;

იანვარი 2024:

09.01.2024: გაზაფხულის სემესტრის დასაწყისი;
10.01.2024: დილის შეხვედრები (9:00 - 10:00 სკოლაში / 16:00 - 17:00 ონლაინ) მშობელთა კითხვარის უკუკავშრი;
18.01.2024: დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრები.

დასწრება და პუნქტუალობა

მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველა მშობელს, რომლებიც შვილებს სკოლაში სისტემატიურად და პუნქტუალურად გამოცხადებაში ეხმარებით. წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესისთვის სკოლაში დროულ მოსვლასა და სისტემატიურ დასწრებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეს არის სკოლისა და ოჯახის წარმატებული თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი.

დირექტორის წერილი

ძვირფასო აკადემიის წევრებო,

გვიახლოვდება ზამთრის არდადეგები და ჩვენი პირველი სასწავლო სემესტრიც მალე დასრულდება. აკადემიის დერეფნებში სადღესასწაულო მუხტი უკვე იგრძნობა, რაც ერთობ სასიამოვნოა.
საზეიმო განწყობამ სკოლის დარბაზშიც გადაინაცვლა და ჩვენმა სკოლამდელი განათლების ცენტრის და პირველი კლასის მოსწავლეებმა შესანიშნავი საშობაო წარმოდგენა შემოგვთავაზეს.
მათ არც მეორე და მესამე კლასელები გამოაკლდნენ საინტერესო მუსიკალური სპექტაკლით. ბაღის მოსწავლეები კი ზამთრის ფესტივალშიჩაერთვნენ.
ამავდროულად, ქართული და სადიპლომო პროგრამისა და მეათე კლასის მოსწავლეები ემზადებიან გამოცდებისთვის, პირველი სემესტრის წარმატებით დასასრულებლად.

მჯერა, ეს მონდომება საუკეთესო შედეგებში აისახება.
აქვე, მინდა აღვნიშნო, ჩვენი დაწყებითი კლასების მოსწავლეების მიღწევები IPC-ის თემების წარმატებულად დახურვაში.

Lions Academy (იანვარი 2024)

Lions Academy-ის კლუბებსა და სარეგისტრაციო პროცედურებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ თანდართული დოკუმენტი. Lions Academy-ის კლუბები ფუნქციონირებას იანვრიდან დაიწყებს. სულ მალე, ნებისმიერი ასაკის მოსწავლე თავად შეძლებს გამოსცადოს STEM-ის, საშემსრულებლო ხელოვნებისა და სპორტული კლუბების საოცარი სინთეზი.

Lions Academy-ის ბროშურის გასაცნობად, მიჰყევით ბმულს. დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ: la@bga.ge

გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრა

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეები 9 დეკემბერს დაესწრნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიცირებულ შეხვედრას, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. შეხვედრა გენდერული თანასწორობის შესახებ მნიშვნელოვან საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა.

სპორტული სიახლეები

ბრიტანულ-ქართული აკადემიის გუნდი მონაწილეობას იღებდა თბილისის თავისუფალი სკოლის მიერ ორგანიზებულ თექვსმეტწლამდელ გოგონათა ხელბურთის ტურნირში. შაბათს ბრიტანულ-ქართული აკადემიის გუნდი დაუპირისპირდა ბრიტანული საერთაშორისო სკოლის გუნდს და მიუხედავად ფინალამდე მოპოვებული გამარჯვებებისა, დაძაბულ ფინალურ ბრძოლაში დამარცხდა. აკადემიის გუნდი მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალიც მოიპოვა. ვულოცავთ ჩვენს პარტნიორ, თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლას ფინალში გამარჯვებას.

საშობაო წარმოდგენები

გასულ კვირას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა ორი საშობაო მიუზიკლი წარმოგვიდგინეს. აკადემიის ყველაზე პატარა წევრების პროფესიონალური ინგლისური შესრულება ამხელა სცენაზე, ასობით მაყურებლის წინაშე, მართლაც საოცარი სანახავი იყო. ეს გამოცდილება ხომ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებათ. ვულოცავ ჩვენს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებსა და აკადემიურ გუნდს ამ წარმატებას!

ჰაუს ქულები

გასულ კვირას, ფეხბურთის შეჯიბრი გაიმართა მე- 9 - მე-12 კლასელ ვაჟთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ჰაუსებს წარმოადგენდნენ. ყველა მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ჰაუს ქულები შემდეგნაირად გადანაწილდა:

199 ქულა TAMAR MEPE

170 ქულა RUSTAVELI

149 ქულა ILIA

144 ქულა PIROSMANI